

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მოამბე

СООБЩЕНИЯ

Академии наук грузинской ССР

BULLETIN

OF THE ACADEMY OF SCIENCES OF THE GEORGIAN SSR

ტომი 79 Том

№2

აგვისტო 1975 Август

თბილისი • Тбилиси • Tbilisi

#505#

ბ. ჯორბენაძე

ტბ || ტაბ ფუძე ქართულ ტოპონიმებში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა 8.4.1975)

გასაანალიზებელია ტბ || ტაბ ელემენტი ქართულ ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებში. ამ ელემენტის აღსანიშნად საკუთარი სახელის დონეზე ტერმინ „ფუძის“ ხმარება გარკვეულ წინააღმდეგობას იწვევს. საქმე ისაა, რომ ფუძე, გარდა გრამატიკული ფუნქციისა, ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელიცაა საზოგადო სახელებში. საკუთარ სახელს კი, რომელიც დაცლილია ცნებითი მნიშვნელობისგან, შეუძლებელია ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტი

მოეპოვებოდეს. ამიტომ დასაძებნია კრიტერიუმი, რომელიც ერთნაირად გამოსადეგი იქნება როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელის ფუძისეული მორფემის გამოსაყოფად. სხვა სირთულე: თუკი საზოგადო სახელის შემთხვევაში სტრუქტურული სეგმენტების გამოყოფა ორგვარ, ურთიერთშემავსებელ კრიტერიუმს ეფუძნება: ფორმობრივს (განმეორებადი, უცვლელი, ერთი მხრივ, და ცვლადი, მეორე მხრივ, სტრუქტურული ელემენტების პრინციპი: **ტბა, ტბა-მ, ტბა-ს, ტბ-ის... ტბ-ორ-ი, ნა-ტბ-ევ-ი...** ამ შემთხვევაში **ტბა || ტბ** ელემენტი, სეგმენტი გამოიყოფა იმის გამო, რომ იგი განმეორებადია, უცვლელადაა წარმოდგენილი ფორმათა გარკვეულ ნაწილში. შესაბამისად, **-მ, -ს, -ის, -ორ, ნა- - - -ევ** იმიტომ გამოიყოფა, რომ ცვლადია და უცვლელ სეგმენტს დაერთვის. ამათგან **-მ, -ს, -ის...** ფორმათწარმოებითია და პირობითად შეიძლება „ვერტიკალურ“ რიგად იწოდოს, დანარჩენები სიტყვათწარმოებითია და „ჰორიზონტალური“ რიგისაა, თვით ქმნიან ახალ ფუძეს, რომელიც, როგორც წესი, ფორმათწარმოების სისტემაში ჩაერთვება ამის მერე) და შინაარსობრივს (**ტბ || ტბა** ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების მატარებელია და, ამდენად, ფუძეა, ხოლო **-მ, -ს, -ის, -ორ, ნა---ევ** ოდენგრამატიკული მნიშვნელობის მქონენი არიან და, შესაბამისად, აფიქსებია, რომლებიც კონსტრუქციულ მიმართებათა საფუძველზე, იმის მიხედვით, ცვლიან თუ არა ფუძის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას, ფორმათწარმოებით და სიტყვათწარმოებით აფიქსებად ნაწილდებიან).

საკუთარი სახელების შემთხვევაში რჩება ერთიღა — ფორმობრივი კრიტერიუმი და ისიც მხოლოდ ჰორიზონტალური რიგისა. ვერტიკალური რიგის წარმოება ზოგჯერ სპეციფიკურ ვითარებას კი გვიჩვენებს (მაგალითად, ანთროპონიმების ბრუნება ქართულში), მაგრამ საკუთარ სახელთა ფუძის საანალიზოდ უმოქმედოა. ამდენად, **ტბისი, ტბეთი, ტბედი... ტბაჴმელა, ტბანარი...** ტოპონიმებში ზემოაღნიშნული ფორმობრივი კრიტერიუმის საფუძველზე გამოიყოფა **ტბ, ტაბ, ტაბა** ელემენტები, რომელთაც (ტოპონიმის შემთხვევაში) ფუძეს ვერ დავარქმევთ (ლექსიკური მნიშვნელობის უქონლობის გამო — ფუძის ამაჴმინდელი განმარტების შესაბამისად). ასე რომ, **ტბ, ტაბ, ტაბა** ონომასტიკის დონეზე სტრუქტურული ელემენტებია და მიუხედავად იმისა, აპელატივის დონეზე რა განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობების მატარებელნიც უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ტოპონიმების შემადგენელი ელემენტები, მხოლოდ მათი ფორმობრივი ქმედების

საფუძველზე უნდა იქნენ გათანაბრებულნი ან დაპირისპირებულნი. ვთქვათ, **ტაბა** ელემენტი **ტაბანი**, **ტაბნები**, **ტაბნარა**, **ტაბაჰმელა**, **ტაბაწყური** ფორმებში განიხილება როგორც იდენტური ან

#506#

განსხვავებული იმის საფუძველზე, თუ რა ვითარებას გვიჩვენებს იგი კუმშვა-კვეცის ან სხვა ფორმობრივი ცვლილება-მდგრადობის თვალსაზრისით.

რასაკვირველია, მართოდენ ზემოაღნიშნული კრიტერიუმის გამოყენება ტოპონიმების სტრუქტურის კვლევისას მრავალთაგან მრავალ შემთხვევითობასა და უზუსტობასთან იქნება დაკავშირებული, თუკი ზოგი სხვა ფაქტორიც არ იქნა გათვალისწინებული. იგულისხმება ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ფონეტიკური შედგენილობის ელემენტი, როგორც წესი, ნაირგვარადაა გაფორმებული. ასე მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში: **ტბები**, **ტბისი**, **ტბეთი...** **ტაბანი**, **ტაბათა**, **ტაბნები...** ნაირგვარი გაფორმება ნაირგვარი მოტივაციის შედეგად შეიძლება იყოს და ამოსავალი ფუძის ნაირგვარი მნიშვნელობის შედეგად. **ტბ** || **ტაბ**, როგორც არატოპონიმის შემადგენელი სტრუქტურული ელემენტი, ქართულში შემდეგი დანიშნულებისა თუ მნიშვნელობის მატარებელია: **ტაბა** (1) ქართველური ტოპონიმია [1]; **ტაბა** || **ტბ** (2) -**ტბა**, წყლის ბუნებრივი რეზერვუარი. იგივე ელემენტი ჩანს **ტაბელა** (3) სიტყვაშიც (მცენარის სახელია, იგივე, რაც ჩადუნა). ეს ფონეტიკურად მსგავსი სტრუქტურული ელემენტები ნაირგვარი მნიშვნელობისა და მიხედვით ნაირგვარ აფიქსებს იხამებენ: **ტაბანი** — ოჯახისა და სოფლის უბნის სახელწოდებად — ამოსავლად უპირველესად **ტაბა** ანთროპონიმს გვავარაუდებინებს; **ტბისი**, **ტბეთი**, **ტბედი** ტოპონიმები ამოსავლად **ტბა** საზოგადო სახელს გულისხმობენ, იმავე სახელის უძველეს **ტაბა** ფორმობრივ ვარიანტს ვარაუდობენ **ტაბაჰმელა**, **ტაბაწყური** ტოპონიმები. იმავდროულად, **ტბისი**, **ტბეთი**, **ტბედი** ამოსავლად ერთსა და იმავე ფუძეს კი გულისხმობს, მაგრამ მათი ნაირგვარი გაფორმება უკვე ნაირგვარი მოტივაციის შედეგია ამა თუ იმ ობიექტის სახელდებისას.

სირთულე სხვაც არის. ჯერ ერთი, ნაირგვარი ამოსავალი მნიშვნელობის მქონე ელემენტებმა შესაძლოა შეხამების ერთგვარი უნარი და მისწრაფება გამოავლინონ და მაშინ ურთიერთგადამკვეთი ფორმები დადასტურდება. გარდა ამისა, ფორმათა შემადგენელ სტრუქტურულ ელემენტებად სეგმენტაციაც ჯერჯერობით ვერ პოულობს მყარ ლინგვისტურ

კრიტერიუმს. როგორ უნდა დაიშალოს, მაგალითად, ტოპონიმი **ტაბნარა**: **ტაბ-ნარ-ა** (1) და გამოიყოს რთული შედგენილობის (**-ნ-არ**) სუფიქსი (**მუხ-ნარ-ი**, **ვარდ-ნარ-ი**... ფორმებში დადასტურებული): თუ: **ტაბ-ნ-არ-** (2), სადაც **-ნ** დეტერმინანტი სუფიქსის ელემენტია, ხოლო **-არ** ოდინდელი ქართველური სუფიქსი, რომელიც დიფერენცირების შემდგომ სვანურში დღესაც მოქმედია, ხოლო ქართულში ძირითადად მიმღებობებშია დამოწმებული (**მ-დევ-არ-ი**, **მა-წყევ-არ-ი**... **სა-დევ-არ-ი**, **სა-წყევ-არ-ი**...), ძველ ქართულში კი, გარკვეულ რეგიონში, წარმომავლობის სახელებს აწარმოებდა (**ოპიზა** — **ოპიზ-არ-ი**, **ტბეთი** — **მტბევ-არ-ი**... იხ. [2]). პირველ შემთხვევაში ისიც გასარკვევი დარჩება, თუ რომელი მცენარის სახელი უნდა ვივარაუდოთ **ტაბ-ნარ-ა** ტოპონიმისთვის ამოსავლად, იგივე, რაც **ტაბელა** სიტყვა აღნიშნავს? მაშინ, შესაბამისად **-ელა** ელემენტის საკითხიც დაისმის: კნინობითობისაა იგი (**ჰყონია** — **ჰყონი-ელა**), თუ წარმომავლობის აღმნიშვნელი (**ნოლა** → მდინარე: **ნოდ-ელა**). იმავდროულად, არც ისაა აუცილებელი, რომ აქ უთუოდ მცენარის სახელი ვივარაუდოთ ამოსავლად, თუმცა ეს ყალიბი ჩვეულებრივ ამგვარი შეხამებითაა გავრცელებული (შდრ.: **ვარდ-ი** — **ვარდ-ნარ-ი**, მაგრამ: **ქვიშა** — **ქვიშ-ნარ-ი**). ამრიგად, დასადგენი ბევრია, ხოლო ზუსტი ფორმობრივი კრიტერიუმის გამოძებნა საშური. მიზანი ისაა, გამოიძებნოს კვლევის პრინციპი, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეგვაძლებინებს ფორმობრივი და ფუნქციური ასპექტების ანალიზს.

ქართველური ენების მონაცემთა შედარების საფუძველზე (მეგრული: **ტობა** || **ტობო** || **ტომბა**, ჭანური: **ტობა** || **ტიბა**, სვანური: **ტუბა** || **ტომბ** || **ტმმბ**) და ტოპონიმთა მონაცემებით **ტბა** ფორმისათვის აღდგენილია უძველესი ფუძე **ტაბა**, რომლის ბოლოკიდური **-ა** მიჩნეულია დეტერმინანტ **-ან** სუფიქსის ნაშთად; ამდენად, სრული სახეა: **ტაბან** (ა. შანიძე, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა). ცნობილია, რომ ახლა დამოწმებულ ოდენხმოვნთან თუ ოდენტანხმოვნთან

#507#

აფიქსებში ისტორიულად თანხმოვან-ხმოვნის (პრეფიქსებში) და ხმოვან-თანხმოვნის (სუფიქსებში) ერთიანობას ვარაუდობენ. სტრუქტურული მოდელი უძველესი ქართველური პრეფიქსისა: CV-, სუფიქსისა: -VC. მაგრამ ქართულში არის იმის შესაძლებლობა, რომ ფუძის დეტერმინატორებად ოდენტანხმოვნთან ან ოდენხმოვნთან ელემენტები გამოვყოთ, ხოლო მათი

ერთიანობა რთული აფიქსის სახეობად მივიჩნიოთ. ამას უნდა გვიდასტურებდნენ შემდეგი მაგალითები: მ-წუხ-არ-ე და მ-წუხ-არ-ი, გვარ-ალ-ი და გვარ-ლ-ი, მამ-ალ-ი და მამ-რ-ი, მალ-ალ-ა შდრ. მაღალაშვილი) და მალ-ლ-ა... გარდა ამისა, ძერ-ი და ძერ-ა, წურბელ-ი და წურბელ-ა... ტიპის სახელები, ერთი მხრივ, და თოვ-ს — თოვ-ლ-ი, თეს-ლ-ი, მად-ლ-ი, მეორე მხრივ. აღნიშნული იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ დეტერმინანტი აფიქსები ყოველთვის ხმოვან-თანხმოვნით კი არ უნდა ყოფილიყვნენ შედგენილნი, ან სონანტთა გაუმარცვლოვანობის საკომპენსაციოდ გაჩენილი ხმოვნებით კი არ უნდა იყვნენ გართულებულნი, არამედ დამოუკიდებელ, ფუნქციურად ღირებულ ელემენტებს უნდა წარმოადგენდნენ (რა თქმა უნდა, განუკითხავად ყველა შემთხვევაში არა!). ეს კარგად ჩანს შემდეგი ნიმუშებიდანაც:

კოჭ-ლ-ი	თოვ-ლ-ი	თეს-ლ-ი
კოჭ-ა	თოვ-ა	თეს-ა (= თევს-ვ-ა) და მისთნ.
კოჭ-Ø (= კოჭ-ი)		

დეტერმინანტი აფიქსი თავკიდურა პოზიციაშიც შეიძლება შეგვხვდებოდა. მართლაც, შდრ.: ი-ძვრის — ი-ნ-ძრევა, ნ-ჩქრევა — ჩქერი, რ-წევ-ა — ს-წევს, რ-წმენა — ს-წამს. გენეზისურად ერთი და იგივე ფორმანტი პოზიციისდა მიხედვით ნაირგვარ ფუნქციას ღებულობდა. აქ ანალოგიისათვის შეიძლება გავიხსენოთ: იგი კაც — კაც იგი: პირველ შემთხვევაში იგი ჩვენებითი ნაცვალსახელია, მეორე შემთხვევაში — ნაწევარი. პოზიციამ მინიმალურად, მაგრამ მაინც განასხვავა ფუნქციები, რაც შემდგომი დაშორებისა და გადასხვაფერების მიზეზი გახდა. უძველესი დეტერმინანტი სუფიქსები ჩანს ქართ-ლ-(ი) და *ქართ-ღ (შდრ.: ქართ-ვ-ელ-ი) ფორმებში. ამისდა კვალობაზე ტბ-ა, ტაბ-ა, ტაბ-ნ ფორმებში დადასტურებული -ა და -ნ ელემენტები შესაძლოა სავსებით დამოუკიდებელი ფორმანტები იყვნენ და არა ხმოვან-თანხმოვნით შედგენილი ფორმანტის (-ან) ფონეტიკურ ნიადაგზე სახეცვლილი ნაშთი-ფორმანტები. იმავდროულად, ტოპონიმებში დამოწმებული ყველა ფორმანტი ტოპოფორმანტად უნდა იქნეს მიჩნეული (ტბ-ის ნაპირები: აქ -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რადგან მისი ქმედება შეესაბამება ბრუნვის ნიშნის სტატუსს. ხოლო ტბ-ის-ი ტოპონიმში იგივე ფონეტიკური შედგენილობის -ის უკვე

ტოპოფორმანტია, რადგან მისი ქმედება შეესაბამება ტოპონიმის მაწარმოებლის სტატუსს: ყოველი ფორმანტი, რომელიც იცვლის სისტემას და ახალი, ტოპონიმიკური სისტემის კუთვნილება ხდება, ტოპოფორმანტად იქცევა. ახალი, ონომასტიკური სისტემაა: **ტბ-ის-ი — ტბ-ელ-ი — ტბ-ურ-ი...** პირველ შემთხვევაში კი ფორმა ბრუნვის სისტემას ექვემდებარება).

დამოწმებული **ტაბაჭმელა** და **ტაბაწყური** ტოპონიმები მიგვანიშნებენ, რომ „ტაბა“ შესაძლოა ყოფილიყო მშრალიც და წყლიანიც. თუ ასეა, **ტბა || ტაბა** ადრე იმას არ აღნიშნავდა, რის სახელწოდებაც (წყლის ბუნბრივი რეზერვუარი) დღეს არის. ამას ტოპონიმებიც გვიდასტურებენ: **ტბა || ტაბა**, გარდა საკუთრივ ტბისა, სათიბის, სოფლის, ტყის, ველის სახელებადაც გვხვდება. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ ამ სათიბის, ტყის, ველის ადგილას ადრე აუცილებლად ტბა ვიგულოვოთ. **ტაბ ნეიტრალური უნდა ყოფილიყო** ამ თვალსაზრისით, იგი ფაქტიურად „რელიეფის უარყოფით ფორმას“ აღნიშნავდა და იმის მიხედვით მშრალი იყო თუ წყლით ამოვსებული, ფორმდებოდა შესაბამისად როგორც **ტაბაჭმელა** (ტაბახმელა) ან **ტაბაწყური**. ეს ფუძეთა შეერთებით მიღებული სახელებია. სავარაუდოა, რომ დიალექტთა ერთ ნაწილში **ბ:ფ** მონაცვლეობის საფუძველზე იმავე მნიშვნელობების გასარჩევად ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ **ტაბ-(ა)** და **ტაფ-(ი)** ფორმები. უკანასკნელი, როგორც

#508#

წარმოდგენილი ფუძის სახით, ასევე წარმოებული ფუძით (ტაფობი, ტაფილი) გამოიყენება ქართულ ენასა და მის დიალექტებში. ***ტაბ** ფუძისთვის ზემოაღნიშნული ორგვარი მნიშვნელობის ქონების შესაძლებლობას მეგრულ-ჭანურის მონაცემიც გვიდასტურებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 10.4.1975)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Б. А. Джорбенадзе

tb || tab ОСНОВА В ГРУЗИНСКИХ ТОПОНИМАХ

Р е з ю м е

На основании выявления элемента tb || tab в грузинских географических названиях делается попытка установить некоторые общие принципы структурного анализа топонимов.

LINGUISTICS

B. A. Jorbenadze

THE tb || tab ROOT IN GEORGIAN PLACE NAMES

S u m m a r y

The use of tb||tab elements in Georgian place names have been analysed. An attempt is made to give some principles of structural analysis of place names.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ალ. ღლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. თბილისი, 1967.
2. ა. შანიძე. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I. თბილისი, 1957.